სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
06.04.2010 N 44
თბილისი

საერთო სამაგისტრო გამოცდების შესახებ

2010 წელს საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის რეგისტრაციისა და საუნივერსიტეტო მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდების ორგანიზებულად მომზადება - ჩატარების მიზნით, გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 22 მარტის N77-10 "2010 წელს საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ" ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2010 წელს საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და საუნივერსიტეტო მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდების მომზადება - ჩატარების ორგანიზაციაზე პასუხისმგებელ პირად დაინიშნოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი იური ლომიძე;
2. საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია (2010 წლის 8 აპრილიდან 10 მაისის ჩათვლით) და თანდართული დოკუმენტაციის მიღება (მაგისტრანტობის კანდიდატი განცხადებას შეავსებს რეგისტრაციის ადგილზე) იწარმოებს ყოველ დღე 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე შაბათ - კვირის და უქმე დღეების გარდა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (1 სართული, ოთახი 124);
3. მაგისტრანტობის კანდიდატთა განცხადებების და თანდართული დოკუმენტაციის ჩაბარება სსიპ – გამოცდების ეროვნულ ცენტრში 2010 წლის 13 მაისამდე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი. ლომიძეს;
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;
5. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას და ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე